

ნინო ზოგვერაძე

**სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების
პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ
დონეზე**

**ზვიად კორძაძის გამომცემლობა
თბილისი
2019**

ბოვერაძე ნ., სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, ზვიად კორძაძის გამომცემლობა, თბილისი, 2019, 531 გვ.

რედაქტორი:

ზაზა რუხაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი, უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

თანარედაქტორი:

თორნიკე ნემსჭვრიძე

სამართლის მაგისტრი (თსუ), კორძაძის საადვოკატო ბიუროს იურისტი

© ნინო ბოვერაძე, 2019

© ზვიად კორძაძის გამომცემლობა, 2019

ISBN 978-9941-8-1919-3

„არის რალაც ღრმად ჰუმანური ამ პოლიტიკაში, იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანებს აქვთ მშობლად ყოფნის უფლება... ეს არის ის, რაც ახასიათებს სიცოცხლეს: სიცოცხლეზე დაფუძნებული ღირებულება“.

N.Y. TIMES, July 17, 2011

„ბუნების უდიდესი საიდუმლოებაა ადამიანების მიერ თავისი მსგავსის რეპროდუცირება. ადამიანი მიისწრაფვის, დატოვოს თავისი შთამომავლობა, იპოვოს „უკვდავება““.

ელენა პერეგომჩიკოვა

„ბევრი წყვილისათვის... სუროგაცია ერთადერთი შანსია, იყოლიოს საკუთარი გენეტიკური შთამომავალი ანუ მოიპოვოს „უფლება უკვდავებაზე““.

რუი კასკაო

რედაქტორისაბან

წინამდებარე გამოცემას წინ უძღოდა პროფესორ ნინო ბოგვერაძის მრავალწლიანი, მუხლმოუხრელი, მაღალპროფესიონალიზმე, მაღალ მოქალაქეობრივ ღირებულებებსა და აქტიურობაზე დაფუძნებული შრომა - შრომა, რომელმაც შექმნა ესოდენ ღირებული შედეგი. ამ გადასახედიდან, დიდი სიამაყითა და კმაყოფილებით მინდა ვთქვა, რომ დიდი ხნის მანძილზე ამ შრომის, პროფესიული და მოქალაქეობრივი, ვიტყოდი, ბრძოლის მონმე აღმოვჩნდი. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ წინამდებარე ნაშრომი, არა მხოლოდ იმ გამოწვევიდან გამომდინარე, რომელსაც იგი ეხება, არამედ ამ გამოწვევის ეთიკური, სამართლებრივი და, არ გადავამეტებ თუ ვიტყვი, რომ მისი, თუნდაც, დემოგრაფიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებლად შეფასდება არა მხოლოდ სახელმძღვანელო, არამედ სამაგიდო წიგნად ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც აღნიშნულ პრობლემატიკაზე მუშაობს. ერთი წუთით რომ გვერდზე გადავდოთ სამართლებრივი და სამედიცინო პრობლემატიკა, ან, ზოგადად, სამეცნიერო ტექნოლოგიების მიღწევები, მათი პრაქტიკაში განხორციელების სამართლებრივი მონესრიგების დილემები, ნაშრომი ღირებულებითი თვალსაზრისით ეხება სიცოცხლის წარმოშობის, მშობლად ყოფნის და, მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანური კვლავწარმოების უფლებას, სულიერი და მორალური ხედვის კონტექსტში; ადამიანისათვის იმ კატეგორიის უფლებას, როგორცაა მისი გაგრძელება, უკვდავება სხვა სამყაროში გადასვლით და ამ უკვდავების აღქმის შესაძლებლობა ამავე სამყაროში. ხოლო დღეისათვის, უკვე დიდი ხანია, სიცოცხლე, ადამიანური კვლავწარმოება და უკვდავება აღარ წარმოადგენენ მხოლოდ ფილოსოფიის, ან ბიოლოგიის, ან ხელოვნების საკუთრებას. და აქ, ხაზი უნდა გაესვას პროფესორ ნინო ბოგვერაძის მაღალ პროფესიულ და მეცნიერულ პასუხისმგებლობას, რომელსაც იგი იღებს ზემოაღნიშნული რთული და კომპლექსური საკითხების და მათი სამართლებრივი ასპექტების კვლევიტ. ავტორი ამ გამოცემის სახით, წარმატებით აგრძელებს მისივე წარმატებული სადოქტორო კვლევის განვითარებას უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით და დაინტერესებულ

მკითხველს სთავაზობს უთანამედროვეს გლობალურ, რეგიონულ თუ ლოკალურ ტენდენციებზე დაფუძნებულ მიგნებებს და რეკომენდაციებს. ამით ავტორი იღებს სწორ და თამამ პასუხისმგებლობას არა მხოლოდ პროფესიული წრეების, არამედ მთელი საზოგადოების წინაშე იმ შემოთავაზებებისა და რეგულაციების სახით, რომლებმაც შესაძლოა, არსებითი გავლენა იქონიოს ადამიანისა და საზოგადოების ეთიკურ, მორალურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე. ღრმად ვარ დარწმუნებული, და ამის უტყუარი მტკიცებულება წინამდებარე წიგნი გახლავთ, რომელიც ნათლად ადასტურებს, რომ ეს პროფესიული ხედვები და პასუხისმგებლობა სრულყოფილია, რამეთუ ისინი, როგორც მკითხველი თავად აღმოაჩენს, დაფუძნებულია სათანადო მეცნიერულ კვლევასა და არგუმენტირებულ ლოგიკაზე.

მიუხედავად აღნიშნულისა, თავად საკითხის, როგორც მრავალწახნაგოვანი გამოწვევის ხასიათიდან გამომდინარე, თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ რაიმე თვალსაზრისით წიგნში შემოთავაზებული გზები და წარმოდგენები თამამი ან გადაჭარბებულია, მათ იქვე გავახსენებდი ციპელიუსის მშვენიერ ფრაზას - „გადაჭარბება მოდის შვილია“. ჩვენ კოლეგებმა დიდი ხანია ვიცით და ეს წიგნი უტყუარ ფაქტად აქცევს იმ გარემოებას, რომ პროფესორი ბოგვერაძე დიახ, არის მოდური, ჩვენს ენაზე თუ ვიტყვით, თანამედროვე, თამამი და გაბედული მეცნიერი. მეცნიერი რომლის კვლევის მასშტაბურობა აქვე, ამ გამოცემით შეიძლება გაზომოს მკითხველმა კომპარატივისტიკის ეფექტური, მრავალფეროვანი, არგუმენტირებული და დამარწმუნებელი გამოყენებით.

უკიდურესად დიდია ამ გამოცემის მნიშვნელობა არა მხოლოდ, ზოგადად, არამედ, კონკრეტულად, ქართული რეალობის, მისი სიმძიმის აღქმის და შესაძლო მონესრიგების თვალსაზრისით. დღეს, ჩვენს ქვეყანაში დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მომწესრიგებელი სამართლებრივი ბაზა ვერ პასუხობს ვერც მონესრიგებულობის და ვერც ეთიკურ-მორალური მიზანშეწონილობის საკითხებს, საკუთრივ პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების და მდგრადობის სამომავლო პერსპექტივებიდან გამომდინარე. პრობლემური და ხარვეზიანია არათუ ის, რაც არეგულირებს აღნიშნულ ურთიერთობებს, არამედ დამატებითი სიმძიმის პრობლემას წარმოად-

გენს საერთოდ რეგულირების მიღმა დარჩენა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა აწესრიგებდნენ თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისი სამართლებრივი, თუ სხვა, მათი თანმდევი საკითხების საქართველოს მოქალაქეების ინტერესების და ადამინის ფუნდამენტური უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

შესაბამისად, იზრდება ამ გამოცემის სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება, რადგანაც დისკუსიები ამ საკითხებისა და პრობლემების ირგვლივ, ჩვენ სინამდვილეში, კი არ წყდება, პირიქით, ფართოვდება და სულ უფრო მწვავე ხასიათსაც იღებს. ახლა, როცა დღის წესრიგში დგას შესაბამისი კანონმდებლობის ცვლილებებისა და სრულყოფის საკითხი, ამ გამოცემას შეუძლია, თავისი მნიშვნელოვანი სიტყვა თქვას იმ მიმე ტენდენციის დასაძლევად, რომელიც, შესაძლებელია, გამოგვეხატა გაბრიელ გარსია მარკესის სიტყვებით - „დეჰუმანიზაცია ოთხით მიქრის.“ მართლაც, უაღრესად ღირებული იქნება ავტორის შეთავაზებები ყველა იმ ადამიანისათვის, ვინც რაიმე ფორმით ჩართულია ამ პროცესში. ეს შეთავაზებები და გზები თითოეული მათგანისათვის არის კარგი გზა და შესაძლებლობა, ღრმად და მაღალი პასუხისმგებლობით შეხედონ საკითხს. დღეს და სწორედ დღეს, საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამის წარმომადგენლებს შანსი ეძლევათ თავი დაიმკვიდრონ პიროვნებად, ვინც ისტორიულად, საჭირო დროს ერთი აგური დადო „დემოგრაფიულად ეგზომ მოშლილი ხალხისთვის, როგორცაა დღევანდელი ქართველი ხალხი“. ეს წიგნი მათ ამაში ნამდვილად დაეხმარებათ.

წინამდებარე გამოცემა უდავოდ კარგი მეგზური იქნება იმ ვითარებაში, როცა გართულდა ურთიერთობები ექიმებსა და პაციენტებს შორის, საზოგადოებასა და პაციენტს შორის, და კიდევ უფრო მეტი გართულებებია მოსალოდნელი, რადგან დღეს ამ გამოწვევის შესახებ მოკამათეთა არმია მოიცავს ექიმების, ბიოლოგების, იურისტების, სოციალური მუშაკების, სახელმწიფო მოხელეების, სამოქალაქო აქტივისტებისა და კანონმდებლების პროვოკაცირებად წრეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ამ წიგნის მომზადებით პროფესორმა ნინო ბოგვერაძემ საშური

და, არ იქნებოდა გადაჭარბებული, თუ ვიტყვოდი, რომ საშვილიშილო საქმე გააკეთა, რადგან წინამდებარე გამოცემა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენს ქვეყანაში სუროგაციის სამართლებრივი პრობლემების მონესრიგებას, საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების განვრცობა-გამოყენებას, საერთაშორისო და ეროვნული ცოდნისა და პრაქტიკის მომარჯვებას ისეთი რეგულაციური მექანიზმის შესაქმნელად, რომელიც ქართული ეროვნული, ადამიანური და ღვთაებრივი ფასეულობებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოსა და საზოგადოების შენახვის ფუნქციას, მათ კვლავწარმოებას და განვითარებას.

ზამა რუხაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი,
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამართლის,
სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის
დეკანი, უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი

ავტორისაბან

მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია მედიცინა აქტიურად იყენებს დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებს და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათ კომპლექსურ მეთოდს - კოლაბორაციულ რეპროდუქციას - სუროგაციასა და სუროგაციის პროცესში დონაციას, არ არსებობს უნიფიცირებული მიდგომა ამ სამედიცინო ტექნოლოგიის მიმართ. უფრო მეტიც, რადიკალურია დამოკიდებულებები სუროგაციასთან დაკავშირებით: ზოგიერთი გამართლებულად მიიჩნევს მის სრულ აკრძალვას, ზოგიერთი მომხრეა მისი ნაწილობრივი დაშვებისა და მკაცრად რეგულირების, ზოგიერთის აზრით კი, უშვილობის პრობლემის გადაჭრის ეს მეთოდი, სახელმწიფოს მიერ სათანადო მონესრიგების პირობებში, ხელმისაწვდომი უნდა იყოს იმ პირთათვის, რომელთათვისაც იგი, მათი უშვილობის მოგვარების უკანასკნელი შანსია. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილება ნაშრომში სუროგაციის არსი, სახეები, მისი არსებობისა და განხორციელების მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივ-ეთიკური პრობლემები. სუროგაციის მომწესრიგებელი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, ადგილობრივი კანონმდებლობების, დამხმარე რეპროდუქციულ ტექნოლოგიებთან კავშირში მყოფი საერთაშორისო აქტების, საერთაშორისო და ადგილობრივი სასამართლოების პრაქტიკის ანალიზისა და, რაც მთავარია, ადამიანის ფუნდამენტური უფლების - რეპროდუქციული უფლების არსისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით გამართლებულად მიმაჩნია კანონმდებლობით დადგენილი პირობების არსებობის შემთხვევაში სუროგაციის განსაზღვრული ფორმებით სარგებლობა. ამასთან, ნაშრომში წარმოჩენილია ის სამართლებრივი ხარვეზები, რომელთაც შეიცავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ზოგადად, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და, კონკრეტულად, სუროგაციის მარეგულირებელ ნორმებში და დასკვნის სახით მოცემულია სარეკომენდაციო წინადადებები ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის თვალსაზრისითა და, თუნდაც, ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ეფექტური დისკუსიის ინიცირებისათვის.

ნაშრომის ფარგლებში კვლევის წარმოება არ არის განპირობებული მხოლოდ ჩემი, როგორც იურისტის, პროფესიული ინტერესით სუროგაციის სფეროს მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების ანალიზსა და შეფასებაზე. კვლევა განხორციელდა იმ მნიშვნელოვანი სიკეთის გათვალისწინებით, რომლისთვისაც შეიქმნა ეს სადავო მეთოდი და, რომელიც უზრუნველყოფს „უიმედო“ უშილო ადამიანებისათვის, ხშირ შემთხვევაში, მათი „გენების უკვდავყოფისა“ და მშობლებად გახდომის ერთადერთ შესაძლებლობას.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა არ იყო მარტივი პროცესი. იგი დაიწყო ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში დოქტორანტურის საფეხურზე და მისი არსებითი ნაწილი დასრულდა სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ფარგლებში. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რამდენიმე ადამიანს, რომლებიც განსაკუთრებულად გვერდში მედგნენ აღნიშნული კვლევის მომზადებისა და დასრულების პროცესში: კორძაძის საადვოკატო ბიუროს მმართველ პარტნიორს, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს და ზვიად კორძაძის გამომცემლობის დამფუძნებელ პარტნიორს ზვიად კორძაძეს, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც პრაქტიკოსი იურისტის ჩამოყალიბებაში. მან პირველმა წაახალისა ჩემი იდეა სუროგაციასთან დაკავშირებით კვლევის წარმოებაზე მეფიქრა, საერთოდ, და, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო მომზადებული მასალის წიგნად გამოცემა საკუთარი გამომცემლობის მეშვეობით.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორ ზაზა რუხაძეს, რომელიც დისერტაციის მომზადების პერიოდში ყოველთვის მხარს უჭერდა ნაშრომის აქტუალურობას და, რომლის დამსახურებითა და მხარდაჭერითაც გავბედე საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებში რეპროდუქციულ უფლებებზე ნაშრომში ჩემი პოზიციის დაფიქსირება. ამასთანავე, სადისერტაციო ნაშრომის მომზადებასა და დაცვაში შეტანილი წვლილისათვის მადლობას გამოვხატავ სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფესორ მარინე კვაჭაძისა და ოპონენტების (რეცენზენტების) - პროფესორ ნანა ჭილაძისა და სამართლის დოქტორ სოფიო მაჭავარიანის მიმართ.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ლიკა ჭყონიას, შპს „ქართულ-ამერიკული რეპროდუქციული კლინიკა რეპროარტი“-ს დამფუძნებელსა და დირექტორს, რომელმაც დიდი დახმარება გამიწია, ზოგადად, დამხმარე სამედიცინო მეთოდებით რეპროდუქციის, დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებისა და, კონკრეტულად, სუროგაციასთან დაკავშირებული სამედიცინო პროცედურების, სამედიცინო ტერმინოლოგიის სწორად აღქმასა და გაანალიზებაში. აღნიშნულის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა ნაშრომის სამართლებრივი ნაწილის დამუშავება.

სუროგაციის სამართლებრივი რეგულირების პრობლემებზე სადისერტაციო ნაშრომის დაცვასა და შემდგომ უკვე წინამდებარე კვლევის წიგნად გამოცემაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის უმცროს კოლეგასა და მეგობარს, ჩემს ყოფილ სტუდენტს, ამჟამად, კორძაძის საადვოკატო ბიუროს ადვოკატსა და ზვიად კორძაძის გამომცემლობის დირექტორს თორნიკე ნემსწვერიძეს. დიდი მადლობა მას დაუღალავი მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის.

ნინო ზოგვერაძე

სამართლის დოქტორი, ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტის პროფესორი, კორძაძის საადვოკატო
ბიუროს პარტნიორი, ადვოკატი

შინაარსი

| | |
|---|-----------|
| შესავალი..... | 21 |
| I თავი. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები: არსი და მნიშვნელობა..... | 27 |
| 1. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების არსი და სახეები..... | 31 |
| 1.1. ინ ვიტრო განაყოფიერება და მასთან დაკავშირებული პროცედურები..... | 34 |
| 1.1.1. ინ ვიტრო განაყოფიერების განმარტება..... | 34 |
| 1.1.2. ემბრიონის კრიოპრეზერვაცია და დონაცია..... | 35 |
| 1.1.3. ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდები..... | 39 |
| ა. ინ ვიტრო განაყოფიერება გამეტის დონორის ჩართულობით..... | 42 |
| ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგატი დედის ჩართულობით: სუროგაცია ანუ „დონორი საშვილოსნოს“ გამოყენება..... | 43 |
| 2. სუროგაცია - კოლაბორაციული რეპროდუქციის ყველაზე საკამათო მეთოდი..... | 46 |
| 2.1. სუროგაციის ცნება და სახეები - ტრადიციული და გესტაციური სუროგაცია..... | 46 |
| 2.1.1. “Baby M”- აშშ-ის ტრადიციული სუროგაციის ისტორიაში პიონერად მიჩნეული სასამართლოს გადაწყვეტილება..... | 50 |
| 2.1.2. “Baby M”-ის შემდგომ სუროგაციის მიმართ დამოკიდებულების მკვეთრი ცვლილება..... | 52 |
| 2.1.3. სუროგაციის ფორმები - ალტრუისტული და კომპენსირებადი სუროგაცია..... | 54 |
| 2.2. ძირითადი ასპექტები სუროგაციაზე ეთიკური დებატების შესახებ..... | 55 |
| 3. დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და გამოწვევები..... | 74 |
| ა. ზოგადი ანალიზი..... | 74 |
| ბ. ენდრიუსი ქელთზის წინააღმდეგ (Andrews v Keltz):..... | 80 |
| გ. პარეტა ადამიანის რეპროდუქციის სამედიცინო დაწესებულებების წინააღმდეგ (Paretta v Medical Offices for human Reproduction):..... | 83 |
| დ. რობერტი სიუზანის წინააღმდეგ (Robert v. Susan)..... | 84 |
| 4. შუალედური დასკვნა..... | 85 |

| | |
|--|-----|
| II თავი. რეპროდუქციული უფლება და მისი რეალიზება დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით | 90 |
| 1. რეპროდუქციული უფლების საერთაშორისო რეგულაცია ... | 91 |
| 2. დოქტრინალურ მოსაზრებათა ჭიდილი რეპროდუქციული უფლებების მოცულობის თაობაზე..... | 96 |
| 3. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკა დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების გამოყენებით რეპროდუქციული უფლებების რეალიზაციასთან დაკავშირებულ დავებზე | 104 |
| 3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციით დადგენილი პრაქტიკა | 104 |
| 3.1.1. დონორისა და სუროგატი დედის ჩართვის გარეშე ხელოვნური განაყოფიერების საშუალებებზე წვდომის უფლება - დიკსონი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dickson v. United Kingdom)..... | 108 |
| 3.1.2. სპერმის ან კვერცხუჯრედის დონორის ჩართულობით ინ ვიტრო განაყოფიერებაზე წვდომის უფლება - S.H. და სხვები ავსტრიის წინააღმდეგ | 110 |
| 3.1.3. სუროგაციაზე წვდომის უფლება, სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვის ინტერესების პრიორიტეტი | 121 |
| ა. მენესონი საფრანგეთის წინააღმდეგ (Mennesson v. France) და ლაბესი საფრანგეთის წინააღმდეგ (Labassee v. France)..... | 123 |
| ბ. პარადისო და კამპანელი იტალიის წინააღმდეგ (Paradiso and Campanelli v. Italy) | 127 |
| გ. ევროსასამართლოს დიდი პალატის საკონსულტაციო დასკვნა საზღვარგარეთ სუროგაციის შედეგად დაბადებულ ბავშვსა და პოტენციურ დედას შორის მშობლისა და შვილის სამართლებრივი ურთიერთობის ადგილობრივ კანონმდებლობაში აღიარების შესახებ | 135 |
| 3.2. ადამიანის უფლებათა შიდაამერიკული სასამართლოს პრაქტიკა | 142 |
| 4. კონკურენცია მშობლად გახდომის უფლებასა და მშობლად გახდომაზე უარის თქმის უფლებას შორის - სასამართლოების განსხვავებული პოზიციები გაყინულ ემბრიონებთან დაკავშირებულ დავებზე | 151 |
| ა. ნაჩმანი ნაჩმანის წინააღმდეგ (Nachmani v. Nachmani) | 153 |

| | |
|--|------------|
| ბ. ევანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Evans v. United Kingdom) | 154 |
| გ. ა.ზ. ბ.ზ-ს წინააღმდეგ (A.Z. v. B.Z) | 157 |
| დ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება..... | 158 |
| 5. რეპროდუქციული უფლებების ნორმატიული საფუძვლები საქართველოს კანონმდებლობაში..... | 161 |
| 5.1. რეპროდუქციული უფლებების ცალკეული უფლებრივი კომპონენტების ნორმატიული მონესრიგება | 161 |
| 5.2. რეპროდუქციული უფლების დამოუკიდებელ უფლებად განსაზღვრის მნიშვნელობა და საფუძვლები საქართველოს კონსტიტუციაში | 165 |
| 5.2.1. რეპროდუქციული უფლების მნიშვნელობა..... | 165 |
| 5.2.2. კონსტიტუციის 4.2. მუხლი და ძირითადი პრინციპები, როგორც რეპროდუქციული უფლების ნორმატიული საფუძველი ძირითად კანონში | 172 |
| ა. კონსტიტუციის 4.2. მუხლის მესამე წინადადების გამოყენების წინაპირობები..... | 172 |
| ა.ა. რეპროდუქციული უფლება, როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლება | 175 |
| ა.ბ. რეპროდუქციული უფლება, როგორც კონსტიტუციის ძირითადი პრინციპებიდან გამომდინარე უფლება | 176 |
| ბ. კონსტიტუციის ძველი რედაქციის 39-ე მუხლის ადგილის ცვლილების შედეგები კონსტიტუციის მოქმედ რედაქციაში | 187 |
| ნ. შუალედური დასკვნა | 190 |
| III თავი. საზღვარგარეთის ქვეყნების სუროგაციის ადგილობრივი რეგულაციები შედარებითსამართლებრივ კონტექსტში..... | 198 |
| 1. ამერიკის შეერთებული შტატები (ზოგადი ანალიზი)..... | 201 |
| 2. სუროგაციის მონინააღმდეგე ქვეყნები | 209 |
| 2.1. სუროგაციის ხელშეკრულება, როგორც ბათილი და აღუსრულებადი გარიგება..... | 211 |
| 2.2. პასუხისმგებლობა სუროგაციის განხორციელებისათვის | 212 |
| 2.3. სუროგაციის აკრძალვის ძირითადი არგუმენტები | 216 |
| 2.4. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიული მშობლების განსაზღვრა..... | 223 |

| | |
|--|-----|
| 2.5. აშშ-ის შტატები, სადაც სუროგაცია იკრძალება სანქციების დანესების გარეშე..... | 227 |
| 3. სუროგაციის მიმართ შედარებით ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე ქვეყნები | 229 |
| 3.1. ქვეყნები, სადაც სუროგაცია რეგულირებულია, თუმცა დამწვებულია მხოლოდ ალტრუისტული სუროგაცია | 230 |
| 3.1.1. ქვეყნები, სადაც სავალდებულოა სასამართლოს წინასწარი თანხმობა ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად | 232 |
| 3.1.1.1. საბერძნეთი და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა | 232 |
| ა. საბერძნეთი | 233 |
| ბ. სამხრეთ აფრიკა | 236 |
| გ. საბერძნეთისა და სამხრეთ აფრიკის სუროგაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის ძირითადი ასპექტები..... | 237 |
| დ. სუროგაციის ხელშეკრულება და სუროგაციის განხორციელების ძირითადი პირობები | 243 |
| ე. მოთხოვნები პოტენციური მშობლების მიმართ..... | 243 |
| ვ. მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ | 245 |
| ზ. მოთხოვნები მხარეების საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით..... | 247 |
| თ. სუროგაციის დასაშვები სახეობა..... | 247 |
| ი. პოტენციურ მშობელს/მშობლებსა და ბავშვს შორის გენეტიკური კავშირის არსებობა | 249 |
| კ. ალტრუისტული სუროგაციის დასაშვები სახეობა..... | 249 |
| ლ. სუროგაციის ხელშეკრულების შეწყვეტა - „მოფიქრების პერიოდი“ | 253 |
| 3.1.1.2. აშშ-ის ვირჯინიის შტატი..... | 255 |
| ა. ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ | 255 |
| ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ..... | 256 |
| გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა..... | 258 |
| დ. მშობლის სტატუსის დადგენისათვის მოთხოვნილი სამართლებრივი პროცედურა | 259 |
| 3.1.2. ქვეყნები, სადაც ალტრუისტული სუროგაციის განსახორციელებლად სასამართლოს წინასწარი თანხმობა არ მოითხოვება | 261 |
| 3.1.2.1. გაერთიანებული სამეფო და ავსტრალია | 261 |
| ა. შედარებითი ანალიზი..... | 261 |
| ბ. სუროგაციის ალტრუისტული ხასიათი..... | 266 |

| | |
|--|-----|
| გ. ძირითადი მოთხოვნები პოტენციურ მშობლებთან მიმართებით | 270 |
| გ.ა. პოტენციური მშობლების ასაკი..... | 270 |
| გ.ბ. ოჯახური მდგომარეობა..... | 271 |
| გ.გ. საცხოვრებელი ადგილი | 272 |
| დ. ძირითადი მოთხოვნები სუროგატი დედის მიმართ..... | 274 |
| ე. დასაშვები სუროგაციისა და მისი განხორციელების ფორმა..... | 275 |
| ვ. მშობლის ორდერის შესახებ განაცხადის სასამართლოში წარდგენის ვადა | 276 |
| ზ. სუროგატი დედისა და მისი მეუღლის თანხმობა მშობლის იურიდიული სტატუსის გადასაცემად | 277 |
| თ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი..... | 280 |
| ი. დამატებითი მოთხოვნები ავსტრალიის ორ იურისდიქციაში | 281 |
| 3.2. ქვეყნები, სადაც სუროგაცია არ არის რეგულირებული - არც აკრძალულია და არც დაშვებული კანონმდებლობით | 282 |
| 3.3. ისრაელის მოდელი, როგორც სუროგაციის უნიკალური სამართლებრივი რეგულაცია | 287 |
| 3.3.1. სუროგაციის კანონის ძირითადი მოთხოვნები სუროგაციის განხორციელებაზე | 291 |
| ა. ზოგადი ნაწილი | 291 |
| ბ. კანონის ძირითადი მოთხოვნები..... | 294 |
| ბ.ა. პოტენციური მშობლების მიმართ მოთხოვნები | 294 |
| ბ.ბ. სუროგატი დედის მიმართ მოთხოვნები..... | 297 |
| ბ.გ. სუროგაციის განხორციელების დასაშვები სახეობა..... | 299 |
| ბ.დ. დასაშვები სუროგაციის „ალტრუისტული“ ხასიათი | 300 |
| ბ.ე. სუროგაციის განსახორციელებლად სხვა არსებითი ხასიათის მოთხოვნები | 302 |
| გ. სუროგაციის პროცესის ადმინისტრაციული ზედამხედველობა | 304 |
| გ.ა. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადებამდე..... | 304 |
| გ.ბ. ადმინისტრაციული ზედამხედველობა ბავშვის დაბადების შემდგომ | 304 |
| 4. „სუროგაციის მეგობარი“ ქვეყნები..... | 306 |

| | |
|---|-----|
| 4.1. ამერიკის შეერთებული შტატების „სუროგაციის მეგობარი შტატები“ | 308 |
| 4.1.1. შტატები, სადაც კომპენსირებადი სუროგაცია დაიშვება სასამართლო პრეცედენტის საფუძველზე | 308 |
| ა. მხარეთა განზრახვა, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი | 309 |
| ა.ა. ჯონსონი კალვერტის წინააღმდეგ (Johnson v. Calvert) ... | 310 |
| ა.ბ. ბუზანკა ბუზანკას წინააღმდეგ (Buzzanca v. Buzzanca) | 311 |
| ბ. გენეტიკური კავშირი და ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, როგორც მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმი | 314 |
| ბ.ა. ქელიტონი ბეთ ისრაელ დიკონეს სამედიცინო ცენტრის წინააღმდეგ (Culliton v Beth Israel Deaconess Medical Center) | 315 |
| ბ.ბ. ჰოდასი მორინის წინააღმდეგ (Hodas v Morin) | 316 |
| ბ.გ. ჯეი ეფ დი ბის წინააღმდეგ (JF v DB) | 317 |
| 4.1.2. შტატები, სადაც კომპენსირებადი სუროგაცია დასაშვებია კანონმდებლობით | 318 |
| ა. კალიფორნია | 322 |
| ა.ა. მოთხოვნები სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის | 323 |
| ა.ბ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა | 326 |
| ბ. კოლუმბიის ოლქი | 327 |
| ბ.ა. მოთხოვნები მხარეების მიმართ | 328 |
| ბ.ბ. ნამდვილი და აღსრულებადი სუროგაციის ხელშეკრულება | 329 |
| ბ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა | 332 |
| ბ.დ. მშობლის იურიდიული სტატუსის დადგენა | 333 |
| გ. ტეხასი და იუტა | 336 |
| გ.ა. ძირითადი მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების ფორმისა და შინაარსის მიმართ | 336 |
| გ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ | 338 |
| გ.გ. სუროგაციის დასაშვები სახეობა და ფორმა | 341 |
| გ.დ. სუროგაციის ხელშეკრულების ნამდვილობის აღიარება | 343 |
| დ. ილინოისი | 345 |
| დ.ა. კანონით დასაშვები სუროგაცია | 345 |
| დ.ბ. მოთხოვნები მხარეების მიმართ | 347 |

| | |
|--|------------|
| დ.გ. მოთხოვნები გესტაციური სუროგაციის ხელშეკრულების მიმართ | 351 |
| დ.დ. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის დადგენა..... | 353 |
| დ.ე. „ილინოისის კანონის“ სხვა მნიშვნელოვანი დებულებები | 355 |
| 4.2. „სუროგაციის მეგობარი ქვეყნები“ - რუსეთი და უკრაინა..... | 358 |
| 4.2.1. მოთხოვნები მხარეების მიმართ | 359 |
| 4.2.2. დასაშვები სუროგაციის ფორმა..... | 361 |
| 4.2.3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა | 364 |
| 5. შუალედური დასკვნა | 366 |
| IV თავი. სუროგაცია საქართველოში | 373 |
| 1. სუროგაციის სამართლებრივი რეგულირება საქართველოში..... | 373 |
| 1.1. რეგულაციური სისტემის ზოგადი მიმოხილვა..... | 373 |
| 1.2. ტერმინთა განმარტებების არარსებობა და გამოყენებული ტერმინების ხარვეზები საქართველოს კანონმდებლობაში..... | 375 |
| 1.3. საქართველოს კანონმდებლობით დასაშვები დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიები | 383 |
| 1.3.1. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის ან დონორის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით | 384 |
| ა. ინ ვიტრო განაყოფიერება წყვილის სასქესო უჯრედების ან ემბრიონის გამოყენებით..... | 384 |
| ბ. ინ ვიტრო განაყოფიერება კვერცხუჯრედის ან სპერმის დონორის გამოყენებით..... | 385 |
| გ. ინ ვიტრო განაყოფიერება დონორის კვერცხუჯრედისა და დონორის სპერმის გამოყენებით..... | 385 |
| 1.3.2. „განაყოფიერება დონორის სპერმით“ | 386 |
| 1.3.3. ინ ვიტრო განაყოფიერება სუროგაციის გზით..... | 388 |
| ა. დასაშვები სუროგაციის ფორმა | 388 |
| ბ. მოთხოვნები სუროგაციასთან დაკავშირებული პროცედურების მწარმოებელი სამედიცინო დაწესებულების მიმართ | 393 |
| გ. მოთხოვნები მხარეების მიმართ | 400 |
| დ. სუროგაციის ხელშეკრულება | 401 |

| | |
|---|------------|
| ე. პოტენციური მშობლების, როგორც ბავშვის იურიდიული მშობლების, სტატუსის განსაზღვრა..... | 406 |
| 1.3.4. გაყინული გამეტების ან ემბრიონის გამოყენება ინ ვიტრო განაყოფიერების პროცესში | 410 |
| 2. სუროგაციის დროს ანონიმური დონორის გამეტის გამოყენების შეუძლებლობა: სუროგაციის პროცესში მონაწილე პირთა უფლებების დაცვა თუ ხელყოფა?..... | 411 |
| 2.1. დონორის ანონიმურობის მნიშვნელობა სუროგაციისას..... | 411 |
| 2.2. დონორთან ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების მოთხოვნით გამონვეული პრობლემატიკა..... | 414 |
| 3. სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის იურიდიულ მშობლებად პოტენციური მშობლების რეგისტრაციაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უარი: სამართლებრივი საშუალებები მშობლის იურიდიული სტატუსის მოსაპოვებლად | 422 |
| 4. შუალედური დასკვნა | 431 |
| V თავი. საერთაშორისო სურთგაცხი: გამოწვევები, ბავშვის ინტერესებისათვის საფრთხის შემთხვევაში და საზიანო რეალობა | 433 |
| 1. ზოგადი ტენდენცია | 433 |
| 2. „სუროგაციის მეგობარ ქვეყანაში“ სუროგაციის შედეგად დაბადებული ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა..... | 436 |
| 2.1. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრასთან დაკავშირებული პრობლემატიკა | 436 |
| 2.2. საერთაშორისო სუროგაციისას ბავშვის მოქალაქეობის განსაზღვრა და ბავშვის საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად | 440 |
| 3. მშობლის იურიდიული სტატუსის განსაზღვრა პოტენციური მშობლების მოქალაქეობის ქვეყნის მიერ..... | 449 |
| 4. საერთაშორისო სუროგაციასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება წარმოებული კვლევების საფუძველზე..... | 453 |
| 5. შუალედური დასკვნა | 458 |
| შემაჯამებელი დასკვნა | 461 |
| ბიბლიოგრაფია | 503 |

საგამომცემლო ჯგუფი:

მარიამ პირველი
ელენე ჩომახიძე
გული გრიგალაშვილი

„ზვიად კორძაძის გამომცემლობა“
საქართველო, ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის ქუჩა №44, ბლოკი A,
პირველი სადარბაზო, I სართული
ტელ.: 032-2-38-03-22

<https://www.facebook.com/ZviadKordzadzePublishing/>

info@zkpublishing.ge

zkpublishing.ge

legalpublishing.ge